დამტკიცებულია

თსას-ის რექტორის

2021 წლის 26 მარტის №19 ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის

შინაგანაწესი

თბილისი

2021

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. შინაგანაწესის ძირითადი მიზნები და მოქმედების სფერო:

1. თსას-ის შინაგანაწესის მიზანია ხელი შეუწყოს სასწავლებელში დისციპლინის დაცვას, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას, სტუდენტებისა და თანამშრომლების სასწავლო და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობას, მართლმადიდებლური ეთიკის ნორმების რეალიზებას;

2. თსას-ის წინამდებარე შინაგანაწესი ძირითადი აქტია, რომელიც განსაზღვრავს შრომის განაწესსა და ეთიკის ნორმებს თსას-ში;

3. თსას-ის შინაგანაწესით რეგულირდება, აგრეთვე, სტუდენტთა და პერსონალის უფლება-მოვალეობები და, თსას-ის წესდებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

4. შინაგანაწესის დაცვა სავალდებულოა ყველა პირისათვის, ვინც სწავლობს თსას-ში ან შრომითი ურთიერთობა აქვს მასთან;

5. თსას ვალდებულია, შექმნას სწავლებისათვის შესაფერისი გარემო და უზრუნველყოს დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების, სტუდენტის მაღალ აკადემიურ დონეზე მომზადებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის საჭირო პირობები;

6. თსას ვალდებულია, სათანადოდ წარმართოს თანამშრომელთა საქმიანობა, უზრუნველყოს შრომის დისციპლინისა და დასაქმებულთა უფლებების დაცვა, ყურადღებითა და გულისხმიერებით მოეკიდოს თანამშრომელთა წინადადებებსა და მოთხოვნებს, იზრუნოს მათი შრომითი პირობების გაუმჯობესებაზე;

7. თსას-ის შინაგანაწესი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, ასევე, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებულ კონსტიტუციურ შეთანხმებას, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონს, საქართველოს შრომის კოდექსსა და თსას-ის წესდებას, მართლმადიდებელი ეკლესიის უცდომელ სწავლებას;

8. დასაქმებულსა და სტუდენტთან ურთიერთობა რეგულირდება გაფორმებული სახელშეკრულებო პირობებით. თუ დასაქმებულთან ან სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით დადგენილია შინაგანაწესისაგან განსხვავებული პირობები, მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დებულებები.

9. სტუდენტი – პირი, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და თსას-ის რეგულაციების დაცვით ჩაირიცხა და სწავლობს თსას-ში უმაღლეს საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

10. თანამშრომელი – წარმოადგენს საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობის ან კონკრეტული სამუშაოს შესრულების მიზნით გარკვეული დროით დასაქმებულ (შტატგარეშე) პირს, რომელსაც შეიძლება ეკავოს აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობა;

11. თსას-თან შრომითი ურთიერთობისას თანამშრომელი და თსას-ში სწავლის პერიოდში სტუდენტი იმყოფებიან სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქისა და რექტორის კანონიკური იურისდიქციის ქვეშ.

თავი II. თანამშრომელთათვის

მუხლი 2. შრომითი ხელშეკრულება, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების დღეები:

1. შრომის ხელშეკრულების პირობები შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და სხვა მოქმედ კანონმდებლობას, რომლებიც არეგულირებს შრომით ურთიერთობებს;

2. სამუშაო დრო წარმოადგენს კალენდარული დროის ნაწილს, რომლის განმავლობაშიც პერსონალი ვალდებულია განახორციელოს თავისი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობანი;

3. თსას-ში დაწესებულია ხუთდღიანი სამუშაო კვირა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით;

4. სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება თანამშრომელთან გაფორმებული ხელშეკრულებით, არა უმეტეს 40 საათისა კვირაში. იმ დასაქმებულთათვის, რომლებიც თსას-ში ეწევიან პედაგოგიურ საქმიანობას, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო დაკავშირებულია აუდიტორიული, საკონსულტაციო და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებასთან, სასწავლებლის მიერ დამტკიცებული სასწავლო ცხრილის შესაბამისად;

5. ცვლაში მუშაობა განისაზღვრება განრიგით, რომელსაც ამტკიცებს რექტორი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით;

8. დასვენების დღეებია შაბათი, კვირა, შრომის კოდექსით დადგენილი უქმე დღეები, აგრეთვე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მნიშვნელოვანი ის თარიღები, რომლებიც განსაზღვრულია თსას-ის რექტორის ბრძანებით.

მუხლი 3. ხელფასის გაცემის წესი:

1. თსას-ის თანამშრომლისათვის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხით, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში - რექტორის ბრძანებით. განსაზღვრული სახელფასო ანაზღაურება გაიცემა თანამშრომელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

2. აკადემიური პერსონალის ანაზღაურებადი დატვირთვა მოიცავს როგორც პედაგოგიურ (მათ შორის, სალექციო/საათობრივი), ასევე სტუდენტთან ინდივიდუალურ მუშაობას, კონსულტირებასა და სამეცნიერო/კვლევით საქმიანობას. აკადემიური პერსონალის ანაზღაურება და დატვირთვა განისაზღვრება თსას-ის რექტორის ბრძანების საფუძველზე მათთან გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით;

3. პედაგოგიური საქმიანობის განმახორციელებელი მოწვეული (დამხმარე) პერსონალის საათობრივი ანაზღაურება, მათი კვალიფიკაციის შესაბამისად, განისაზღვრება რექტორის ბრძანებით და გამოითვლება სალექციო/საათობრივი დატვირთვით;

4. ხელფასი გაიცემა თვეში ერთხელ, თვის მესამე კვირის განმავლობაში;

5. ხელფასი ირიცხება ბანკში თსას-ის თანამშრომლის პირად ანგარიშზე.

მუხლი 4. შვებულება:

1.თსას-ის თანამშრომელს უფლება აქვს ანაზღაურებადი შვებულებით ისარგებლოს - წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით, ანაზღაურების გარეშე შვებულებით - წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით;

2. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება გაიცემა შრომის კოდექსით დადგენილი წესით;

3. შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს შინაგანაწესის ამ თავით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ვადები და პირობები, რომლებიც არ უნდა აუარესებდეს პერსონალის მდგომარეობას.

მუხლი 5. მივლინება:

1. მივლინება არის დასაქმებულის სამუშაო ადგილის დროებითი შეცვლა, საქმიანობის სფეროს ინტერესებიდან გამომდინარე;

2. დასაქმებულის მივლინებაში გაგზავნა არ მიიჩნევა შრომითი ურთიერთობის პირობების შეცვლად, თუ მივლინების ვადა არ აღემატება წელიწადში 45 კალენდარულ დღეს;

3. მივლინების ხარჯები ექვემდებარება ანაზღაურებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. შეღავათები :

ორსულებსა და მეძუძურ დედებს, ქალებს, რომლებსაც ჰყავთ მცირეწლოვანი ან/და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანი შვილები, დროებით შრომისუუნარო პირებს, ასევე, მათ, რომლებიც სამუშაოს უთავსებენ სწავლას, ან სხვა კატეგორიის პერსონალს, რექტორის მიერ შესაძლებელია, მიეცეთ შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებისაგან განსხვავებული, შეღავათიანი პირობებით სარგებლობის უფლება, მათივე წერილობითი და დასაბუთებული განცხადების საფუძველზე.

მუხლი 7. წახალისება:

1. სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი

დავალების წარმატებით შესრულებისათვის გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ერთჯერადი ფულადი ჯილდო;

გ) ფასიანი საჩუქარი;

დ) თანამდებობრივი სარგოს გაზრდა.

2. ერთდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

მუხლი 8. პერსონალის ვალდებულებები ეთიკური ნორმების დაცვის სფეროში:

1. სტუდენტებთან, თანამშრომლებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობისას პერსონალი ვალდებულია, დაიცვას ეთიკური ნორმები, გააცნოს საკუთარი თავი და დაკავებული თანამდებობა, იყოს გულისხმიერი და კომპეტენტური;
2. დაუშვებელია სამუშაო ადგილზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება;
3. თსას-ის პერსონალი ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მის ზემდგომ ან ქვემდგომ თანამდებობის პირს, თანამშრომელს, მის ხელთ არსებული საშუალებებით აღმოუჩინოს აუცილებელი დახმარება სამსახურეობრივ საკითხებზე, თუ ამ თანამშრომელს:
ა) არ შეუძლია თვითონ განახორციელოს ქმედება ობიექტური მიზეზების გამო;
ბ) არ გააჩნია მოქმედების შესასრულებლად აუცილებელი ფაქტების საკმარისი ცოდნა, მაგრამ ამ ცოდნას ფლობს თანამშრომელი, რომელსაც მან მიმართა;
გ) დოკუმენტები ან სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც აუცილებელია საკითხის გადასაწყვეტად, ინახება თანამშრომელთან, რომელსაც მან მიმართა;
4. პერსონალი ვალდებულია, როგორც სამსახურებრივი საქმიანობის დროს, ისე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ არ გაავრცელოს ან არასამსახურებრივი მიზნებისათვის არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების პროცესში;
5. სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, გარდა ფორსმაჟორული ვითარებისა, თანამშრომელი ვალდებულია სიტყვიერად (ტელეფონით) შეატყობინოს გამოუცხადებლობის მიზეზი პრორექტორს (სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში), ხოლო გამოცხადებისთანავე უმოკლეს დროში მიმართოს მას მოხსენებითი ბარათით. სხვა შემთხვევაში თანამშრომელი ვალდებულია, ორი დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის თაობაზე პრორექტორს (სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში);

მუხლი 9. აკადემიური პერსონალის მოვალეობები:

1. თსას-ის აკადემიური პერსონალის ძირითადი ვალდებულებებია:

ა) წარმოადგინოს სასწავლებლის მიერ დადგენილი ფორმით იმ სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსები, რომლებსაც კითხულობს მიმდინარე სემესტრში, ან გეგმავს მის წაკითხვას აკადემიური პროგრამის ფარგლებში შემდგომ სემესტრებში;

ბ) წარმართოს კონკრეტული სასწავლო კურსი/კურსები წარმოდგენილ სილაბუსში მოცემული განრიგის შესაბამისად;

გ) მუდმივად განაახლოს და დახვეწოს სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუს(ებ)ი და მიუსადაგოს სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამებსა და დადგენილი სილაბუსის ფორმაში შეტანილ ცვლილებებს;

დ) გააცნოს სტუდენტებს სასწავლო კურსის სილაბუსი პირველ ლექციაზე;

ე) საჭიროების შემთხვევაში გამოყოს კონსულტაციის დრო ლექციის წინ ან ლექციის შემდეგ;

ვ) შეადგინოს შუალედური და დასკვნითი გამოცდის საკითხები, სილაბუსის მოთხოვნების შესაბამისად;

ზ) შუალედურ და დასკვნით გამოცდამდე, მინიმუმ ერთი კვირით ადრე, შესაბამის კათედრაზე წარმოადგინოს საგამოცდო საკითხები;

თ) დროულად გამოცხადდეს ლექციაზე. დაგვიანების ან/და გაცდენის შემთხვევაში, წინასწარ გააფრთხილოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი;

ი) ფაკულტეტთან შეთანხმებით, აღადგინოს გაცდენილი საათები სემესტრის დასრულებამდე;

კ) შექმნას მის მიერ განსახორციელებელი პროგრამის (კურიკულუმის) ელექტრონული ვერსია;

ლ) დაესწროს სასწავლებლის ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს/თათბირებს;

მ) შეიმუშაოს, საჭიროებისამებრ განაახლოს/განავითაროს გამოცდის ჩატარების მეთოდოლოგია და ფორმები;

ნ) შეაფასოს სტუდენტები სილაბუსით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებითა და მეთოდებით; გაასწოროს საგამოცდო ნაშრომები;

ო) ჩატარებული შუალედური და დასკვნითი გამოცდებიდან არა უგვიანეს 10 დღისა, ხოლო ზეპირი ფორმით ჩატარებული შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში, არაუგვიანეს 2 დღისა, დეკანატში წერილობითი ფორმით წარადგინოს შეფასების უწყისები;

პ) ფაკულტეტისა და კათედრის დავალებით, დაესწროს გამოცდებს;

ჟ) წლის განმავლობაში სამეცნიერო საქმიანობის ფარგლებში შეასრულოს ქვემოთ დასახელებული, მისთვის სასურველი ერთ-ერთი ან რამდენიმე აქტივობა: მონოგრაფია/ სახელმძღვანელო/სალექციო კურსი /პუბლიკაცია სამეცნიერო კომენტარებით); საერთაშორისო რეფერირებად/რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში/ სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებულებში გამოქვეყნებული ნაშრომები; საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა; ეროვნულ, მათ შორის - შიდა სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა; საერთაშორისო სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა/ეროვნულ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა;

ს) არ გათქვას კონფიდენციალური ან საავტორო უფლებებით დაცული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს შესაძლოა გახდეს მასთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი;

ტ) დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერება; აუხსნას სტუდენტებს აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების შინაარსი და მოუწოდოს მათ დასაცავად.

მუხლი 10. აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგის სამსახურში გამოცხადების რეგულირების წესები და გამოუცხადებლობის შედეგები:

1. აკადემიური და მოწვეული პერსონალი სასწავლო პროცესს წარმართავს შესაბამის ფაკულტეტზე დადგენილი მეცადინეობის ცხრილის შესაბამისად. აღნიშნული ცხრილით დადგენილი სამუშაო გრაფიკის ერთჯერადად ან გარკვეული პერიოდით შეცვლა დასაშვებია ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის საფუძველზე;
2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ მეცადინეობის გაცდენის თითოეულ ფაქტზე ფაკულტეტის პასუხისმგებელი თანამშრომელი ადგენს წერილობით ოქმს, რომელშიც ფიქსირდება აკადემიური /მოწვეული პერსონალის სახელი და გვარი, ფაკულტეტის დასახელება, გაცდენილი აკადემიური საათი. ოქმის ჩანაწერის სისწორე დასტურდება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატის წარმომადგენლის ან თსას-ის სხვა თანამშრომლის ხელმოწერით;
3. ფაკულტეტის დეკანის მოთხოვნის საფუძველზე, აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს განმარტება მეცადინეობის გაცდენის მიზეზების შესახებ;
4. აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია აღადგინოს ყველა გაცდენილი მეცადინეობა მიმდინარე სემესტრის განმავლობაში;
5. აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში რექტორი გამოსცემს ბრძანებას, რომლითაც განისაზღვრება: 1) პირველი გაცდენისათვის – საყვედური. 2) მეორე გაცდენისათვის – უკანასკნელი საყვედური. 3) მესამე გაცდენისათვის – ხელშეკრულების შეწყვეტა;
6. სასწავლო ცხრილით გათვალისწინებულ საათებში სტუდენტთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ლექციის გაცდენა ჩაეთვლება საპატიოდ, თუ ის ყოველი სალექციო კურსის პირველი 20 წუთი იმყოფებოდა აუდიტორიაში.

მუხლი 11.თანამშრომელთა დისციპლინური პასუხისმგებლობა:

1. დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს დასაქმებულის მიერ შემდეგი ქმედებების განხორციელება:

ა) თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის წესდებით, ამ შინაგანაწესით, ხელშეკრულებითა და სხვა შიდამარეგულირებელი აქტებით დადგენილ მოვალეობათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

ბ) შრომის დისციპლინის დარღვევა, კერძოდ, სამსახურში გამოცხადებისა და სამსახურიდან წასვლის, შესვენების წესების დარღვევა, ასევე - არასაპატიო მიზეზით (სამჯერ) სამსახურის გაცდენა და სხვა;

გ) თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების შექმნა;

დ) თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ან/და მისი თანამშრომლის დისკრედიტაციისაკენ მიმართული არამართლზომიერი საქციელი განურჩევლად იმისა, თსას-შია იგი ჩადენილი თუ მის გარეთ;

ე) წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ან/და მისი იერარქიის დისკრედიტაციისაკენ მიმართული ქმედება;

ვ) აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების ნორმების დარღვევა;

ზ) საეკლესიო ეთიკის ნორმების დარღვევა.

მუხლი 12. დისციპლინური სახდელის ფორმები:

1. თსას-ში შრომის დისციპლინის დარღვევისათვის გამოიყენება შემდეგი სახდელები:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) უკანასკნელი საყვედური;

დ) თანამდებობრივ სარგოდ განსაზღვრული თანხიდან ერთჯერადად არა უმეტეს 30%-ის დაკავება;

ე) სამსახურიდან დათხოვნა.

2. დისციპლინური სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი გადაცდენის სიმძიმე, შრომის დისციპლინის დარღვევის გარემოებები, თანამშრომლის ადრინდელი მუშაობა და ყოფაქცევა;

3. თანამშრომელს დისციპლინური სახდელი ედება თსას-ის რექტორის ბრძანებით. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, ჭეშმარიტების დადგენის მიზნით თსას-ის რექტორი უფლებამოსილია, აღძრას დისციპლინური სამართალწარმოება, რისთვისაც ბრძანების საფუძველზე ქმნის საკითხის განმხილველ კომისიას. აქტში მიეთითება, ვის მიმართ და რა ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო დისციპლინური წარმოება, ასევე, ამავე აქტით უნდა დაევალოს პირს, რომლის მიმართაც დაიწყო დისციპლინური საქმისწარმოება, განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს კომისიის თავმჯდომარეს წერილობითი ფორმით თავისი მოსაზრებები (ახსნა-განმარტება) და მის ხელთ არსებული მტკიცებულებები. აქტი ბარდება პირს, რომლის მიმართაც დაიწყო დისციპლინური საქმისწარმოება. კომისიის დასკვნის შემდეგ განიხილება დამრღვევის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების საკითხი. შვებულებაში ან მივლინებაში მყოფი პირის დისციპლინური დასჯა ხდება სამსახურში მისი გამოცხადების შემდეგ;

4. აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების ნორმათა დარღვევასთან დაკავშირებული საქმისწარმოება რეგულირდება ,,აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ'' დებულებით;

5. დისციპლინური სახდელი გამოიყენება გადაცდომის გამოვლენისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს ერთი თვისა მისი გამოვლენიდან, თანამშრომლის ავადმყოფობის ან შვებულებაში ყოფნის პერიოდის ჩაუთვლელად;

6. ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის გამოიყენება დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა. ამასთან, რექტორი არ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის ზომის არჩევაში;

7. თუ თანამშრომელს არ დაურღვევია ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობანი, თავი გამოიჩინა როგორც კარგმა და კეთილსინდისიერმა მუშაკმა, შეიძლება მას ვადაზე ადრე მოეხსნას დისციპლინური სახდელი;

8. სადავო საკითხები მხარეთა შორის მოგვარდება ურთიერთშეთანხმებით. თუ თსას-სა და თანამშრომელს შორის წამოჭრილი დავა ვერ გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, მაშინ დავა გადაწყდება კანონიკური სამართლის ნორმების მიხედვით.

მუხლი 13. თსას-ის თანამშრომლის მიღება და გათავისუფლება:

1. თსას-ში თანამშრომლების მიღება ხდება პირდაპირი შერჩევის ან შესაძლოა კონკურსის წესით, რექტორის ბრძანებისა და მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო გათავისუფლება ხდება რექტორის ბრძანებით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. თსას-ში უზრუნველყოფილია თანამშრომელთა პირადი საქმეების აღრიცხვა და დაცვა. თსას-ის პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

გ) ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან/და შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა;

დ) დისციპლინური ნორმების დარღვევა და რექტორის ლოცვა-კურთხევის შეუსრულებლობა;

ე) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;

ვ) კანონიკური სამართლის ნორმების უხეში დარღვევა, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 14. სამსახურებრივ საკითხებზე ბრძანებათა შესახებ თანამშრომლების ინფორმირების წესი:

1. თსას-ის თანამშრომლის მიმართ სამსახურებრივ საკითხებზე ბრძანებას გამოსცემს თსას-ის რექტორი;

2. სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ინდივიდუალური ხასიათის ბრძანება დაინტერესებულ პირს გადაეცემა პერსონალურად ან ფოსტის მეშვეობით. ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ბრძანების მიუღებლობის შემთხვევაში, პირს უფლება აქვს, თსას-ში მიიღოს ამ ბრძანების ასლი.

თავი III. სტუდენტის უფლება-მოვალეობები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი

მუხლი 15. სტუდენტის უფლება-მოვალეობები:

1. თსას-ის სტუდენტი ვალდებულია სისტემატურად დაესწროს ლექციებს, სემინარებს, პრაქტიკულ მეცადინეობებს, დადგენილ ვადებში შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული დავალებები, ხელშეკრულების პირობები, განუხრელად დაიცვას თსას-ის შინაგანაწესი, მოქმედი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული და სტუდენტთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები, გაუფრთხილდეს თსას-ის პრესტიჟსა და ქონებას;

2. სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
ბ) მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;
გ) თანაბარ პირობებში ისარგებლოს თსას-ის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა დამხმარე საშუალებებით;
დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და თსას-ის სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.
3. თსას ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, რაც შეიძლება გამოიხატოს სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფითა და სხვა სახის შეღავათების დადგენით;
4. თსას-ის სტუდენტები სარგებლობენ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების უფლებით და ყოველწლიური არდადეგებით;

5. უკიდურესი აუცილებლობიდან გამომდინარე, საკუთარი რესურსების გათვალისწინებით, თსას უზრუნველყოფს სტუდენტს უფასო საერთო საცხოვრებლითა და სამჯერადი კვებით. საერთო საცხოვრებელში მცხოვრები სტუდენტები მოვალენი არიან დაიცვან პანსიონის შინაგანაწესი;

მუხლი 16. თსას-ის სტუდენტის ვალდებულებები და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები:

1. სტუდენტთა ცხოვრების წესი და ქცევის ნორმები თსას-ში განისაზღვრება ქრისტიანული ეთიკისა და საეკლესიო კანონების ძირითადი პრინციპების საფუძველზე. სტუდენტები მოვალენი არიან, პატივი სცენ და დაემორჩილონ საეკლესიო იერარქიას, დაიცვან თსას-ის შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები, იცხოვრონ ეკლესიურად, მონაწილეობა მიიღონ ღვთისმსახურებაში, თსას-ის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლონ ყველა საგანი.

2. თსას-ის სტუდენტი ვალდებულია:

ა) ცნობდეს და ემორჩილებოდეს საეკლესიო იერარქიას;

ბ) ერთგული იყოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატური, კანონიკური და ეთიკური სწავლებისა, დაიცვას წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის უცვალებელი სჯული და მოძღვრება;

გ) დროულად და ზუსტად ასრულებდეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, რექტორის, რექტორატის წევრების ლოცვა-კურთხევასა და დავალებებს;

დ) მონაწილეობდეს ეკლესიის საქმიანობაში და იცავდეს მის ინტერესებს;

ე) მორჩილებას, პატივისცემასა და მოკრძალებას ავლენდეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ, ასევე პატივისცემით ეპყრობოდეს საეკლესიო იერარქიის წევრებს, თსას-ის პედაგოგებსა და თანამშრომლებს;

ვ) შეათანხმოს პრორექტორთან (სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში) იმ გამოსაქვეყნებელი თუ გასავრცელებელი წერილების, სტატიებისა და ინტერვიუების ტექსტი, რომელიც ეხება მართლმადიდებელი ეკლესიის სარწმუნოებრივ, დოგმატურ, კანონიკურ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს;

ზ) სასწავლებელში გამოცხადდეს ქრისტიანული ეთიკის ნორმების შესაბამისად (ჩაცმულობა, გარეგნობა);

3. სტუდენტი ვალდებულია იცოდეს და შეასრულოს აკადემიური მოთხოვნები, თსას-ის შინაგანაწესით, ხელშეკრულებითა და მის მიმართ შესასრულებლად სავალდებულო სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი პირობები;

4. სტუდენტი ვალდებულია დაიცვას საეკლესიო ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები, რომელთა დარღვევად ჩაითვლება:

ა) დაგვიანება ლექცია-სემინარებზე;

ბ) მეცადინეობის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა;

გ) მობილური ტელეფონის გამოყენება ლექციებსა და სემინარებზე;

დ) შენობის სასწავლო ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკისა და თსას-ის სხვა ქონების დაზიანება, მათდამი უდიერად მოპყრობა;

ე) თამბაქოს მოწევა, არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა;

ვ) უხეში, საეკლესიო ეთიკისათვის შეუფერებელი ქმედება სასწავლებლის ადმინისტრაციის, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და თანამშრომელთა მიმართ;

ზ) ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების დარღვევა;

5. სტუდენტთა მიმართ თსას-ში მოქმედებს შემდეგი სახის ადმინისტრაციული სახდელები:

ა) საეკლესიო (კანონიკური) ეპიტიმია;

ბ) გაფრთხილება;

გ) საყვედური;

დ) უკანასკნელი საყვედური;

ე) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

6. ფაკულტეტის საბჭოზე განხილვის საფუძველზე, ფაკულტეტის დეკანი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ მოხსენებითი ბარათით მიმართავს რექტორს ბრძანების გამოსაცემად;

7. ერთი დარღვევისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა. დისციპლინური სახდელის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება დარღვევის ხასიათი და მისი სისტემატურობა.

8. აკადემიური ჩამორჩენილობის, მეცადინეობის გაცდენის, არაკეთილსინდისიერი და არაეთიკური საქციელის ჩადენისათვის ამ მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის სტუდენტის მიმართ გამოიყენება როგორც ადმინისტრაციული სახდელები, ასევე - საეკლესიო (კანონიკური) ეპიტიმია და სასჯელი იმ კანონიკური პრინციპის დაცვით, რომ ერთი დარღვევისათვის დაუშვებელია ორჯერ დასჯა - კანონიკურადაც და ადმინისტრაციულადაც. გამონაკლისია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა (მოციქულთა 29-ე კანონი);

მუხლი 17. სტუდენტის სტატუსის შეჩერება, აღდგენა:

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება არის სტუდენტისა და თსას-ის ერთმანეთის მიმართ არსებული უფლება-მოვალეობებისაგან დროებითი გათავისუფლება;

1.1. თსას-ი სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენისას ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება მიზეზების მითითების გარეშე (წერილობითი სახით);

ბ) უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება (დოკუმენტურად დადასტურებული);

3. სტუდენტს პირადი განცხადებით სტატუსის შეჩერება შეუძლია სემესტრის დასრულებამდე. სემესტრის მიმდინარეობისას სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტს უუქმდება შუალედური შეფასებები და იგი ვერ შეძლებს მათ გამოყენებას შემდეგ სემესტრში/სემესტრებში;

4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხდება რექტორის ბრძანებით;

5. სტუდენტის სტატუსის შეჩერების დრო არ შედის საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი სწავლების მაქსიმალურ ვადაში;

6. სტუდენტს სტატუსი აღუდგება პირადი განცხადების საფუძველზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან არა უგვიანეს 4 კვირისა;

7. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან არა უმეტეს 5 წლის განმავლობაში. სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სტუდენტი სწავლას აგრძელებს შესაბამისი ეტაპიდან.

მუხლი 18. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) თსას-ში სწავლის პერიოდში სტუდენტის სტატუსის 5 წელზე მეტი ხნით შეჩერება;

ბ) შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

გ) საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;

დ) პირადი განცხადება (იწერება რექტორის სახელზე და რეგისტრირდება კანცელარიაში);

ე) კანონიერ ძალაში შესული განაჩენი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;

ვ) საეკლესიო კანონების, საეკლესიო ეთიკის ნორმების დარღვევა, რექტორისა და სხვა უფლებამოსილი პირების ლოცვა-კურთხევის შეუსრულებლობა;

ზ) მართლმადიდებელი ეკლესიიდან განკვეთა;

თ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით გათვალისწინებული ნორმების სისტემატურად დარღვევა.

ი) გარდაცვალება.

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემისთანავე;

3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს თსას-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტას;

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5. თუ სტუდენტსა და თსას-ს შორის წამოჭრილი დავა ვერ გადაიჭრება ურთიერთმოლაპარაკების გზით, მაშინ დავა გადაწყდება კანონიკური სამართლის ნორმების მიხედვით.

IV.დასკვნითი დებულებები

მუხლი 19. დასკვნითი დებულებები:

1. შინაგანაწესი მიიღება სამეცნიერო საბჭოს მიერ და მტკიცდება თსას-ის რექტორის ბრძანებით;

2. შინაგანაწესის მოთხოვნები სავალდებულოა თსას-ის პერსონალისა და სტუდენტთათვის და იგი წარმოადგენს მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს;

3. შინაგანაწესი ძალაში შედის თსას-ში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას (ვებ გვერდზე https://www.tsas.ge/) განთავსების მომდევნო სამუშაო დღიდან;

4. შინაგანაწესის გაცნობა დასტურდება ხელწერილის დადებით, და დაერთვის ხელშეკრულებას;

5. თსას-ში შინაგანაწესის შესრულებას ზედამხედველობას უწევს თსას-ის პრორექტორი (სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში);

6. წინამდებარე შინაგანაწესი ძალას კარგავს ახალი შინაგანაწესის დამტკიცების შემთხვევაში;

7. თსას-ის შინაგანაწესში ცვლილებები შედის მისი დამტკიცების წესით.